ევროკავშირი და საქართველო

#Strongertogether
#EUEnlargement

2024 წლის ოქტომბერი

2023 წლის დეკემბერში, საქართველოს ევროკავშირის **კანდიდატი ქვეყნის სტატუსი** მიენიჭა იმის გათვალისწინებით, რომ 2023 წლის 8 ნოემბრის ევროკომისიის რეკომენდაციით განსაზღვრული ცხრა შესაბამისი ნაბიჯი გადაიდგმებოდა.

2016 წლის ივლისი
ასოცირების შესახებ შეთანხმების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ძალაში შესვლა

2022 წლის მარტი
ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადის წარდგენა

2022 წლის ივნისი
კომისიის მიერ კანდიდატის სტატუსის რეკომენდაციის გაცემა და შესასრულებელი 12 პრიორიტეტის განსაზღვრა, რომელსაც ევროპული საბჭო დაამოწმებს

2023 წლის ნოემბერი
კომისიის მიერ კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაციის გაცემა, იმის გათვალისწინებით, რომ ცხრა ნაბიჯი გადაიდგმებოდა.

2023 წლის დეკემბერი
ევროპული საბჭოს მიერ საქართველოსთვის ევროკავშირის **კანდიდატი ქვეყნის სტატუსის** მინიჭება იმის გათვალისწინებით, რომ ევროკომისიის რეკომენდაციით განსაზღვრული ცხრა შესაბამისი ნაბიჯი გადაიდგმეობდა.

2024 წლის ივნისი
ევროპული საბჭო თვლის, რომ საქართველოს მთავრობის მოქმედების კურსი საფრთხეს უქმნის საქართველოს ევროკავშირის გზას, რაც გაწევრიანების პროცესის შეჩერებას იწვევს.

ევროკავშირის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერა

ევროკავშირი საქართველოს უმსხვილესი ფინანსური მხარდამჭერია. სხვადასხვა პროგრამებისა და ინსტრუმენტების საშუალებით ის საქართველოს განვითარებასა და ევროკავშირის კანონთა კრებულსა და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას უწყობს ხელს.

ევროკავშირი არის საქართველოს

- ✔ უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი
- ✔ უმსხვილესი ინვესტორი
- ✔ უმსხვილესი ფინანსური მხარდამჭერი

სამეზობლო, განვითარების და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტი - გლობალური ევროპა (NDICI - GE)

2021-2024 წლებში ევროკავშირმა საქართველოსთვის NDICI-GE ინსტრუმენტის ფარგლებში **გრანტების სახით საორიენტაციო 340 მილიონი ევრო გამოყო.** ეს თანხები სოციალურ - ეკონომიკური განვითარებისა და ევროკავშირის სტანდარტებსა და ნორმებთან შესაბამისობისთვის გაწეულ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას წარმოადგენს.

ეს მოიცავს:

- 7 მილიონი ევროს ოდენობის პროგრამას, რომელიც მიმართულია **შრომის ბაზრის საჭიროებების შესაბამისი უნარების განვითარებაზე,** რაც ათასობით საქართველოს მოქალაქეს სამუშაოს პოვნაში დაეხმარა.
- **სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების ინიციატივას** საქართველოს 10 რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მათ თემებთან დაკავშირების, ქსელების შექმნისა და რეგიონულ და ეროვნულ დონეზე ზეგავლენის ხელშეწყობის გზით.
- 5 მილიონი ევროს ოდენობის პროექტი, **რომელიც შეამცირებს ციფრულ უთანასწორობას საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს შორის** საჯარო სივრცეებში ინტერნეტთან წვდომის ადგილების განთავსების და ასევე 200 სოფელში ციფრული უნარების გაუმჯობესების გზით.

121 მილიონი ევროს ოდენობის თანხა შეჩერდა / გადანაწილდა დემოკრატიულ სტანდარტებთან მიმართებით უკუსვლის საპასუხოდ, განსაკუთრებით, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წინააღმდეგ მიმართული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღების შემდეგ.

ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმა (EIP)

ევროკავშირის **ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმა (EIP) აღმოსავლეთ პარტნიორობისთვის** მხარს უჭერს ინვესტიციებს, რომლებიც საჭიროა რეგიონის ეკონომიკების მედეგობის გაძლიერებისთვის და ადამიანებისთვის კონკრეტული სარგებლის მოტანის შესაძლებლობის უზრუნველყოფისთვის ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტრანსპორტი, კერძო სექტორი, ენერგეტიკა, გარემო და კლიმატი, წყალმომარაგება და კანალიზაცია, ციფრული და ადამიანური კაპიტალი. იგი აღმოსავლეთ პარტნიორობის თითოეულ ქვეყანაში კონკრეტულ საფლაგმანო პროექტებს მოიცავს.

საქართველოში პროექტების განხორციელებითვის, 2021 წლიდან ევროკავშირმა მოახდინა **2,1 მილიარდი ევროს ოდენობის ინვესტიციების მობილიზება, რაც ევროკავშირის 270 მილიონ ევროზე მეტი თანხის გარანტიით მოხდა.** სახსრების მოზიდვა ხდება ისეთი ინსტრუმენტებით, როგორიცაა სამეზობლო საინვესტიციო პლატფორმა (NIP). ეს მოიცავს:

- ეროვნული **მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელებით** 1000 სოფლის დაფარვას 500 000-ზე მეტი მოსახლისთვის ციფრული კავშირების გასაუმჯობესებლად.
- **აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალზე საგზაო უსაფრთხოების** გაუმჯობესებით მოსალოდნელია ავტოსაგზაო შემთხვევების 30%-ით შემცირებას, მგზავრობის პირობების გაუმჯობესებას, მგზავრობის დროის შემცირებას და ახალი ეკონომიკური და სავაჭრო შესაძლებლობების შექმნას.
- მოსამზადებელ სამუშაოებს **შავი ზღვის** 1 000 მგვტ ჯამური სიმძლავრის და 1 195 კმ სიგრძის **წყალქვეშა ელექტროგადამცემი კაბელის** გასაყვანად და შავი ზღვის წყალქვეშა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის განთავსებას აღმოსავლეთ სამეზობლოში ციფრული გადაწყვეტილებების თავსებადობის გაზრდის მიზნით.

მჭიდრო კავშირები ვაჭრობისა და ინვესტიციების სფეროებში



ევროკავშირი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორია. 2023 წელს საქართველოს მთლიანი ვაჭრობის 20,9% ევროკავშირის წილი იყო. ევროკავშირის ექსპორტმა საქართველოში 2023 წელს 3,6 მილიარდი ევრო შეადგინა. 2022 წელს ევროკავშირის მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობამ 915,5 მილიონ ევროს მიაღწია*.
2016 წლის ივლისიდან ევროკავშირი-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები განისაზღვრება თავისუფალი ვაჭრობის სივრცით, რომელსაც ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების **ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცესთან** (DCFTA) დაკავშირებული ნაწილი ადგენს.

© EUMM

თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში

უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა გრძელდება, მაგრამ საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა მასზე ზეგავლენა მოახდინა:

- ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში **ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიისა** და სამხრეთ კავკასიაში და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის **სპეციალური წარმომადგენლის** მუშაობის მეშვეობით. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ადგილზე ერთადერთი საერთაშორისო წარმომადგენლობაა, რომელიც 300-ზე მეტ თანამშრომელს ითვლის.
- 2021-2023 წლებში ევროკავშირმა მოახდინა **63 მილიონი ევროს** მობილიზება საქართველოს თავდაცვის ძალების სამედიცინო, საინჟინრო, ლოგისტიკური და კიბერთავდაცვის შესაძლებლობების გასაძლიერებლად **ევროპული სამშვიდობო ფონდის** (EPF) ფარგლებში. 2024 წლის ევროპული სამშვიდობო ფონდის დახმარების მიღება შეჩერებულია 2024 წელს ქვეყანაში დაფიქსირებული მდგომარეობის გაუარესების შედეგად.
- 2023 წლის ივნისში საქართველომ დაასრულა მონაწილეობა ევროკავშირის სასწავლო მისიაში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში და **ევროკავშირის კრიზისების მართვის სხვა მისიებსა და ოპერაციებში** მონაწილეობის გაგრძელება არ შეუთავაზებია.

ადამიანებს შორის კონტაქტები

- 2017 წლიდან საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირში **უვიზო მიმოსვლით** სარგებლობენ.
- 2021 წლიდან ევროკავშირმა ERASMUS+ პროგრამის ფარგლებში დააფინანსა ევროკავშირისა და საქართველოს მოქალაქეებს შორის **6 500-ზე მეტი გაცვლა განათლების**, სწავლების, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროებში.

* **წყარო:** DG Trade

ec.europa.eu/neighbourhood-enlargement
facebook.com/EUnear | x.com/eu_near

© ევროკავშირი, 2024
ამ დოკუმენტის ხელმეორედ გამოყენება დასაშვებია იმ პირობით, თუ მითითებულია ავტორის ვინაობა და ნებისმიერი ცვლილება (საერთაშორისო ლიცენზია Creative Commons Attribution 4.0). იმ ელემენტების ნებისმიერი სახით გამოყენების ან კვლავწარმოებისთვის, რომლებიც არ არის ევროკავშირის საკუთრება, შესაძლოა, საჭირო გახდეს ნებართვის მიღება უშუალოდ შესაბამისი უფლების მფლობელებისგან. ყოველგვარი ვიზუალური მასალა — © ევროკავშირი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.